

7. საილუსტრაციო მასალა

ნაშრომში გამოყენებულია, ერთი მხრივ, მარტივი მაგალითები პარადიგმატული (კონიუგაციის / დეკლინაციის / გრადაციის) რიგების აგების საილუსტრაციოდ; მეორე მხრივ – მოზრდილი ფორმატის ორიგინალური ნიმუშები, შერჩეული გერმანულენოვანი წყაროებიდან: ლექსიკონებიდან, თანამედროვე მხატვრული ლიტერატურიდან, ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან, პრესიდან, გამოყენებითი დანიშნულების ტექსტებიდან (როგორცაა: ინსტრუქცია-რეკომენდაციები, წამლის ანოტაციები, სამუზეუმო კატალოგები, ბუკლეტები და ა.შ.); ამასთან უპირატესობა არ ეძლევა ერთი რომელიმე კონკრეტული დარგისა თუ ჟანრის, თემატიკისა თუ ფუნქციური სტილის ტექსტებს.

ნიმუშები, დალაგებული ბლოკებად, გამოირჩევა სიმრავლით, რაც უპირველესად თვით ენობრივ ფენომენტა თვისებრივი მრავალფეროვნებით არის ნაკარნახევი. ბლოკები თავისთავად აგებულია სირთულის ხარისხის თანდათანობითი პროგრესირების დაცვით, როგორც ლექსიკურ პლანში, ისე განსახილველი ფენომენტის თანმხლები გრამატიკული ნიუანსების სიღრმის მხრივ. სემანტიკური თვალსაზრისით ორიენტაცია არის ალღეული უპირატესად გერმანულენოვანი სამყაროს კულტურული ფენომენტის, პოლიტიკური და ყოფითი რეალიების, ერის მენტალობის ამსახველ ნიმუშებზე იმ მოსაზრებით, რომ ინფორმაციულად ღირებულს შეეძლო (თუნდაც ქვეცნობიერად) შემსწავლელის მოტივაციაც გაეზარდა, ხელი შეეწყო, რომ საინტერესო გონებასაც უფრო იოლად/ძალდაუტანებლად დაემახსოვრებინა.

გვერდების ფორმატირებისას გათვალისწინებულია ნიმუშთა ბლოკების მოცულობა (იხ. მითითებები წიგნით სარგებლობის შესახებ), ანუ მაქსიმალურად არის დაცული პრინციპი, რომ თემატურად ერთმანეთთან დაკავშირებული მასალა თვალსაც ერთად აღექვა. შესაბამისად ნიმუშთა ბლოკები კი არ წყდება/არ იხლიჩება, არამედ გვერდის ბოლოს ბლოკიც მთვრდება, მომდევნო გვერდიდან კი სხვა, თემატურად ახალი მასალა მიეწოდება მკითხველს.